ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა კომისიის

სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

ოზურგეთი
2024

შესავალი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (შემდგომში მუნიციპალიტეტი) საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა კომისია (შემდგომში კომისია) წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომლის მიზანია:

- საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადება;
- გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობა;
- მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე შესაბამისი მიმართულებით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლი.

ამ მიზნების მისაღწევად კომისია განიხილავს, შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს, რეკომენდაციებს და დასკვნებს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ტურიზმის განვითარების მუნიციპალურ პროგრამათა პროექტების შესახებ;
- სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირის ფორმით შექმნისა და მათი ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, მუზეუმების, სასოფლო კლუბების, გამოფენების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების საქმიანობის ხელშემწყობი მუნიციპალურ პროგრამათა პროექტების შესახებ;
- ჯანმრთელობის დაცვისა და სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ მომსახურების მუნიციპალურ პროგრამათა პროექტების შესახებ;
- მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და დასაქმების ხელშემწყობი მუნიციპალურ პროგრამათა პროექტების შესახებ;
- თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან მოსახლეობის დამატებითი სოციალური მომსახურების სახეების დაფინანსების შესახებ;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების პირობების დადგენის შესახებ;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით, უსახლკარო პირების თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

წინამდებარე დოკუმენტი აყალიბებს კომისიის სტრატეგიული ხედვის აღწერას, ამოცანებსა და 2024 წლის სამოქმედო გეგმას, ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად.

სამოქმედო გეგმის შედგენისას გათვალისწინებული იქნა კომისიის მიერ 2024 წლამდე დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობები, ამასთან, გეგმა ეფუძნება კომისიის მიმდინარე საჭიროებების ანალიზის შედეგებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მეთოდოლოგიური თვალსაზრისით კომისიის 2024 წლის სამოქმედო გეგმა თვისობრივად ახალ და განსახვებულ ფორმატში შემუშავდა. კერძოდ, განახლებული გეგმის ფორმატი ეყრდნობა შედეგებზე ორიენტირებული მართვისა (RBM) და მტკიცებულებებზე დაფუძნებულობის პრინციპებს (EBPM) და შესაბამისობაშია თანამედროვე საჯარო მმართველობის სტანდარტებთან. აღნიშნული სამოქმედო გეგმა შემუშავდა ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის მხარდაჭერით, რაც გულისხმობდა, როგორც საკრებულოს კომისიის წევრებისთვის აგრეთვე აპარატის თანამშრომელთათვის ჩატარებულ ტრენინგებს ასევე, კონსულტაციებს უშუალოდ გეგმის შემუშავების პროცესში. გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა ის მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და სტრატეგიული დოკუმენტები, რომელიც არსებობს როგორც ცენტრალურ ასევე ადგილობრივ დონეზე

სტრატეგიული დოკუმენტები

მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების განვითარების დოკუმენტის მიხედვით მუნციპალიტეტის განვითარების ხედვა შემდეგნაირად განისაზღვრა:

“ოზურგეთი არის ეკონომიკურად სწრაფად მზარდი, ეკოლოგიურად სუფთა, მოსახლეობისაათვის, ტურისტებისა და ინვესტორთათვის საცხოვრებლად, დასასვენელად და და საქმიანობისათვის სასურველი გარემოს მქონე მუნიციპალიტეტი, გამჭვირვალე და დემოკრატიული მმართველობით.”

კომისიისთვის რელევანტურ სფეროებში სტრატეგიული განვითარების მიზნებს და ამოცანებს წარმოადგენს:

მიზანი 3. განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა
ამოცანა 3.1. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა
ამოცანა 3.2. კულტურის ხელშეწყობა, გურული ფოლკლორის, განსაკუთრებით ხალხური სიმღერების პოპულარიზაცია და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება
ამოცანა 3.3. ახალგაზრდობის (ფორმალური და არაფორმალური) განათლებისა და განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა
ამოცანა 3.4. სპორტის განვითარების ხელშეწყობა

მიზანი 4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების ხელშეწყობა
ამოცანა 4.1. ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
ამოცანა 4.2. სხვადასხვა სოციალური ჯგუფების და ბავშვთა სოციალური პირობების გაუმჯობესება

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მიხედვით დაგეგმილია შემოსავლები 37 250 000 თუმცა გასული წლების მაჩვენებლების გთვალისწინებით 50 000 000 ლარს გადააჭარბებს საიდანაც კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის (პროგრამული კოდი 05 00) მიმართულებით 6 790 000 ლარი დაიხარჯება და პროგრამის განხორციელების საბოლოო შედეგები იქნება:

- კულტურის და ხელოვნების სფეროებში სხვადასხვა პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია;
- მუნიციპალიტეტის ჩართვა სხვადასხვა რეგიონულ და საერთაშორისო ინიციატივებში. ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების და თეატრის ხელშეწყობა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების ხელშეწყობა;
- სახელოვნებო განათლების და ხელოვნების დარგების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა;
- კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა;
- კულტურის დაწესებულებებში შშმ პირებისთვის ადაპტირებული სივრცის მოწყობა;
- სპორტული და კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გაუმჯობესება და თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობა;
- მწვრთნელ-მასწავლებელთა და სპორტსმენთა სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება;
- სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებში, მათი შემდგომში რესოციალიზაციისა და აქტიურ სპორტში ჩართვისათვის; სპორტული მოედნების მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

სპორტის, ახალგაზრდობისა და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმს, მეწარმეობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, დანაშაულის პრევენციას, კულტურული დიპლომატიის განვითარებას, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება იმისათვის, რომ კულტურა და სპორტი უფრო მეტად ინტეგრირდეს მოსახლეობაში.

მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და სპორტულ ცხოვრებაში.

განათლების (პროგრამული კოდი 04 00) მიმართულებით 8 546 000 ლარი დაიხარჯება და პროგრამის განხორციელების საბოლოო შედეგები იქნება:

- საბავშვო ბაგა–ბაღების აღსაზრდელთა განვითარების ხელშეწყობა
- სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო - სააღმზრდელო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას,
- საზოგადოების აქტიურ ჩართვას მიმდინარე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და კულტურულ პროცესებში, მათ ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირებას,
- ადგილობრივი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო და კულტურული დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებას, დახვეწასა და მოსახლეობის ინტერესებზე მორგებას.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა აქტივობის ამაღლებასა და საზოგადოებაში სოციალური ინტეგრაციას.

პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება ასევე, ზოგადი, პროფესიული და ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობა. ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა და სხვა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის (პროგრამული კოდი 06 00) მიმართულებით 2 834 600 ლარი დაიხარჯება და პროგრამის განხორციელების საბოლოო შედეგები იქნება:

- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა
- თვითმმართველობა არსებული რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას.
- ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ადგილობრივ დონეზე, სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

2024 წლის განმავლობაში მოსახლეობის სოციალური დაცვის მიმართულებით გაგრძელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება რომელიც გაზრდის სოციალურად დაუცველი ფენის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა ჯანდაცვისა და მომსახურების სერვისებზე.

კომისიის საქმინობის მარეგულირებელი და სხვა რელევანტური ნორმატიული აქტები

კომისია საკუთარ საქმიანობის პროცესში იყენებს შემდეგ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს:

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"
3. საქართველოს კანონი "ნორმატიული აქტების შესახებ"
4. საქართველოს კანონი "საჯარო სამსახურის შესახებ"

კომისიის საქმიანობის სფეროების მიმართულებებით მუნიციპალიტეტში დამტკიცებულია და მოქმედებს საკრებულოს შემდეგი ნორმატიული აქტები:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილება **"ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ"**
2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილება **„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"**
3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილება **"ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ"**
4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის №11 დადგენილება **"ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ"**

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs)

მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის გამგებლობას მიკუთვნებული სფეროების მიხედვით, 17 მდგრადი განვითარების მიზნიდან 3 მიზანი არის რელევანტური:

- მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა
- მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა
- მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება

სიტუაციის ანალიზი

კომისიის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხთა დახვეწა და განვითარება ეფუძნება ეროვნულ კანონმდებლობას, მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებსა და დარგობრივ სტრატეგიებს. აღნიშნულ ანალიზში გამოყენებულია სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის საქმიანობის 2021, 2022, 2023 წლების ანგარიშები.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობაა.

ჯანდაცვის მომსახურეობის ხელმისაწვდომობა

მუნიციპალიტეტში ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“.

სოციალური მომსახურება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოციალური დახმარების მიმღები მოსახლეობის რაოდენობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 6.8%-ია. ეს მონაცემი ბოლო წლების განმავლობაში შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა, პენსიონერთა რაოდენობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 28,35%-ია. ეს მონაცემი ბოლო წლების განმავლობაში გაზრდილია. სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში 2023 წლის მაისის მდგომარეობით, რეგისტრირებულია 9502 ოჯახი, 30744 პირი, რაც მოსახლეობის 53%-ს შეადგენს. უშუალოდ საარსებო შემწეობას იღებს და სოციალურად დაუცველთა დასაქმების სახელმწიფო პროგრამაში ჩართულია 2,151 ოჯახი (ჯამში 9396 პირი). მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 1,999 პირი და 329 მარჩენალდაკარგული ოჯახი. მუნიციპალიტეტში ომის მონაწილე 445 პირია რეგისტრირებული; ცხოვრობს 62 იძულებით გადაადგილებული მოქალაქე. მუნიციპალიტეტის ხელისუფლება აქტიურად მუშაობს სოციალურად დაუცველი ოჯახების თავშესაფრით დაკმაყოფილებაზე.

ზოგადად, მუნიციპალიტეტში სოციალური ფონი ჯერ კიდევ მძიმეა და მისი გაუმჯობესებისათვის აუცილებელია, ძლიერი სოციალური ადგილობრივი და ცენტრალური პროგრამის განხორციელების პარალელურად, გატარდეს ეკონომიკური აქტივობის გაზრდისაკენ მიმართული ქმედითი ღონისძიებები. თუმცა აღსანიშნავია, რომ სოციალურად დაუცველ პირთა სახელმწიფო დასაქმების პროგრამა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია სოციალური ფონის გაუმჯობესებისკენ.

მუნიციპალიტეტში კვლავ შეინიშნება რთული დემოგრაფიული მდგომარეობა. უარყოფითია როგორც მოსახლეობის მიგრაციის, ისე ბუნებრივი მატების დინამიკა.

შეინიშნება როგორც ბუნებრივი ასევე მექანიკური (მიგრაცია) კლება. დემოგრაფიულ მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას ახდენს შიდა და გარე მიგრაცია. მიგრაციული პროცესები, გამოწვეულია როგორც ეკოლოგიური, რთული სოციალური მდგომარეობით. შრომისუნარიანი მოსახლეობა მაღალანაზღაურებადი სამუშაოს საძიებლად, ძირითადად, საქართველოს დიდ ქალაქებში ან საზღვარგარეთ მიემგზავრება. დასაქმების მაჩვენებლის გასაზრდელად, აუცილებელია დამატებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება ბიზნეს სექტორის (მათ შორის ტურისტული და გასართობი), ასევე გადამამუშავებელი საწარმოების განვითარების მიმართულებით. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებაში მხარდაჭერაა. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიც სწორედ ამ სფეროზეა ორიენტირებული და მორგებული სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის საჭიროებებზე.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პროგრამები ყოველწლიურად მზარდია, რაც მეტწილადად ავსებს ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამების საჭიროებებს.

სკოლამდელი განათლება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების 44 დაწესებულება, მათ შორის: ქალაქ ოზურგეთში -7, დაბებში-6, სოფლად-30. რეგისტრირებულია 1996 აღსაზრდელი (მათ შორის 979 გოგო , ბიჭი 1017). ბაღებში დასაქმებულია 102 პედაგოგი და 8 ფსიქოლოგი. ა(ა)იპ ოზურგეთის ბაგა-ბაღების გაერთიანების ადმინისტრაციაში დასაქმებულია 39 თანამშრომელი. ბაგა-ბაღების გაერთიანება წლიურად ფინანსდება 7 150 000 ლარით, ამ თანხიდან 841 364 ათასი ლარი გამიზნულია ბავშვთა კვებით უზრუნველყოფაზე.

ბოლო სამი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში აშენდა ორი საბავშვო ბაღი, სოფელ ნასაკირალსა და სოფელ ხვარბეთში. სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიმდინარე წელს დაიწყება 8 ახალი საბავშვი ბაღის მშენებლობა.

ფორმალური, არაფორმალური, პროფესიული, უმაღლესი განათლებისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 42 საჯარო სკოლა და 2 სასულიერო გიმნაზია. საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ნაწილს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, თუმცა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საჭიროება კვლავ დგას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში, ინფრასტრუქტურული სამუშაოების და მცირე მოცულობის კაპიტალური ხარჯების. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ერთი პროფესიული კოლეჯი, რომელშიც 51 პედაგოგია დასაქმებული. კოლეჯს 2011 წელს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია და იგი 550 სტუდენტის მომსახურებაზეა გათვლილი. პროფესიული

კოლეჯის შესაძლებლობები არ არის საკმარისი რეგიონში მუშახელის პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის დონის ამაღლების უზრუნველსაყოფად.

ასევე ფუნქციონირებს ანასეულის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელშიც 33 მეცნიერ-მუშაკია დასაქმებული. ინსტიტუტს მუშაობის 80-წლიანი გამოცდილება აქვს და სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანა-გადამუშავების კვლევის სფეროში იგი ერთადერთია ქვეყანაში.

მუნიციპალიტეტის მიერ ხდება საინიციატივო ჯგუფების, სასკოლო კლუბების, მოსწავლეთა თვითმმართველობების მიერ ინიცირებული პროექტების მხარდაჭერა.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი, რომელიც ამ ეტაპზე არ საჭიროებს რეაბილიტაციას. კულტურისა და მოსწავლე -ახალგაზრდობის ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს 10 სასოფლო კლუბი, ესენია: ნატანების, მთისპირის, ძიმითის, ლიხაურის, მაკვანეთის, ჭანიეთის, ასკანის, დვაბზუს და ბახვის.

სახელოვნებო წრეების ბენეფიციართა რაოდენობა სულ 152 (მათ შორის გოგო - 71, ბიჭი - 81).

ქალაქ ოზურგეთის ცენტრში მდებარეობს სახელმწიფო დრამატული თეატრი, რომელიც ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი უძველესია. ქალაქში მდებარეობს ცენტრალური ბიბლიოთეკა 10,000-მდე წიგნადი ფონდით (რომელიც საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას) ასევე მდებარეობს სახელმწიფო ფოლკლორის ცენტრი, კულტურისა და დასვენების პარკი, სამკუთხა პარკი, ახალრეაბილიტირებული სკვერები, სამხატვრო სკოლა, შემოქმედებითი, ქორეოგრაფიული და ხალხური სიმღერის შემსწავლელი რამდენიმე სტუდია, სახელოვნებო სკოლები, რომლის მიზანია პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარება, მოსწავლეთა მიერ შესაბამისი სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამების ათვისება, ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების შესწავლა, სამხატვრო პროფესიების სწავლება, წვლილის შეტანა ქვეყნის ისტორიულ-კულტურული ტრადიციების შენარჩუნებასა და აღორძინებაში, ქართული ხალხური ფოლკლორის პროპაგანდა, კონკურსებში, ფესტივალებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფის გზით განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა და წარმოჩენა.

ქალაქ ოზურგეთში მდებარეობს ისტორიული მუზეუმი, რომელსაც ჩაუტარდა სრული რებალიტაცია, მუზეუმი საჭიროებს შესაბამისი საგამოფენო სივრცეების მოწყობას, სადაც განთავსდება მუზეუმის საცავში დაცული 6000 -მდე არქეოლოგიური (ნეოლითის პერიოდი, ადრე, შუა და გვიან ბრინჯაოს ხანის) მასალა, ასევე ქალაქ

ოზურგეთში მოქმედებს მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეა, სადაც ეწყობა როგორც ადგილობრივ, ისე სტუმარ ხელოვანთა გამოფენები. კულტურის ობიექტების რაოდენობა და ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილებას. ოზურგეთში არსებული ისტორიული ძეგლებიდან უძველესია ოზურგეთის აბანოები, რომლის ნაშთები 400 კვადრატულ მეტრზეა გაშლილი და სავარაუდოდ ეკუთვნის დიუბუა დე მონპერეს მიერ XIX საუკუნის დასაწყისში აღწერილ გურიელების აბანოს.

შემორჩენილია დიმიტრი გურიელის მიერ 1873 წელს აშენებული სასახლე, სადაც ამჟამად მდებარეობს შემოქმედის ეპისკოპოსის რეზიდენცია, აღნიშნულ ბაღს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია.

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

სპორტული წრეების ბენეფიციართა რაოდენობა სულ 946 (მათ შორის გოგო - 175, ბიჭი - 771). ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების მეოთხედზე მეტი (29%) აცხადებს, რომ სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობით ყოველ დღე არის დაკავებული, 33%-ის განცხადებით კი საერთოდ არ არის მსგავსი აქტივობით დაკავებული.

გამოკითხული ახალგაზრდების 59%-ს აქვს სურვილი ჩაერთოს სპორტის/ფიზიკური აქტივობის რომელიმე სახეობაში, რომლითაც ამჟამად არ არის დაკავებული, მათ შორის ყველაზე მეტჯერ კალათბურთი (14%) და ცურვა (7%) დაასახელეს. იმ ახალგაზრდების უმრავლესობა, რომლებიც საერთოდ არ არიან დაკავებული სპორტული ან ფიზიკური აქტივობით, ამის მიზეზად არასაკმარის დროს (34%), სურვილის ნაკლებობას (25%), ფინანსების ნაკლებობას (12%) და საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობას (10%) ასახელებენ. ქალაქ ოზურგეთში მოწყობილია 13 სპორტული მოედანი, ფუნქციონირებს სასპორტო - რაგბის, ფეხბურთის, მძლეოსნობის, კრივის, თავისუფალი ჭიდაობის, ჩოგბურთის, ჭადრაკის, მინდვრის ჰოკეის, ძიუდოს, ტაიკვანდოს სკოლები, კლუბები და სასწავლო წრეები, რომელიც საჭიროებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ასევე ფუნქციონირებს საფეხბურთო კლუბი - ოზურგეთის „მერცხალი“. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს შემდეგი სპორტული ობიექტები: სპორტის სასახლე; ჭიდაობის დარბაზი; ოზურგეთის ცენტრალური სტადიონი; ლაშეს სტადიონი (სათადარიგო); რაგბის მოედანი; საჩოგბურთო კორტები (რომელსაც უტარდება სრული რეაბილიტაცია) საჭადრაკო კლუბი; შესაბამისად, სპორტულ აქტივობებზე მოსახლეობას ხელმისაწვდომობა აქვს, საჭიროა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და მათი ამ მიმართულებით გააქტიურების წახალისება.

ახალგაზრდობა

თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები გამოწვევებზე საუბრისას აღნიშნავენ, რომ

- მუნიციპალიტეტში არ არის ან მცირე რაოდენობითაა ახალგაზრდებისთვის საჭირო სივრცეები,
- თავშეყრის ადგილები, მაგალითად, კინო, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარებას, შესაბამისად ძირითადი პრობლემა ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობა, ახალგაზრდობის ჩართულობა სხვადასხვა აქტივობაში და მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხებია.
- ახალგაზრდების პრობლემები არ განსხვავდება სქესის და ასაკის მიხედვით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არსებობს პროექტი „იყავი თანამმართველი“, რომლის ფარგლებშიც 10 პროექტი დაფინანსდა. აქტივობებში ძირითადად, სკოლის ასაკის ახალგაზრდები არიან ჩართულები. სკოლის ასაკის შემდგომ ახალგაზრდების ჩართულობის მაჩვენებელი კი ძალიან დაბალია, რაც ძირითადად, გამოწვეულია მიგრაციით, გარდა ამისა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გარკვეული ახალგაზრდული პროგრამები აქვს შემუშავებული, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდებს შეუძლიათ დაკავდნენ სპორტული აქტივობით, ასევე ბავშვებისთვის ეწყობა კულტურულ-შემეცნებითი ტურები, სპორტის განვითარების კუთხით კი მუნიციპალიტეტი ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს, აფინანსებს სპორტულ დაწესებულებებს და მაქსიმალურად ცდილობს, მოსახლეობაში და განსაკუთრებით ახალგაზრდებში ჯანსაღი
ცხოვრების წესის დანერგვას.

კომისიის სტრატეგიული ამოცანები

კომისია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობათა ფარგლებში. კერძოდ, აქტიურად მონაწილოეს პოლიტიკის განსაზღვრის, ფინანსების განაწილების და ნორმატიული აქტების განხილვის და დამტკიცების პროცესებში და ახორციელებს საზედამხედველო საქმიანობას, უზრუნველყოფს საზოგადოებასთან კომუნიკაციას და სამოქალაქო ჩართულობას, შიდა ორგანიზაციული პროცესების მართვას.

სტრატეგიული ამოცანა 1 – სამართლებრივი ბაზის და მისი აღსრულების გაუმჯობესების ხელშეწყობა

კომისია წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომლის მიზანია საკრებულოში განსახილველი საკითხების წინასწარი მომზადება, ხოლო საკრებულოს უმთავრეს და ექსკლუზიურ ფუნქციას წარმოადგენს ნორმატიული ხასიათის რეგულაციების, ქცევის ზოგადი წესების დადგენა.

შესაბამისად, კომისია განსაკუთრებულ როლს შეასრულებს და იღებს პასუხიმგებლობას, რომ მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ დარგებში სამართლებრივი ბაზა იყოს გამართული. კომისია განახორციელებს სამართლებრივი აქტების მუდმივ მონიტორინგს, შეისწავლის დაინსტერესებული მხარეების საჭიროებებს, გაეცნობა დარგში არსებული კარგი პრაქტიკის მაგალითებს და ამაზე დაყრდნობით შეიმუშავებს დასკვნებს და ინიციატივებს.

სტრატეგიული ამოცანა 2 – დარგობრივი/ინსტიტუციური განვითარების პოლიტიკის და საბიუჯეტო პროგრამების გაუმჯობესების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი არის მუნიციპალიტეტის უმთავრესი პოლიტიკის დოკუმენტი. პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს კონკრეტულ საჯარო სფერო(ებ)ში პრობლემების გადაწყვეტის ან/და საჯარო სერვისების განვითარების გზებს. გაანალიზებული პრობლემების საპასუხოდ დოკუმენტში ჩამოყალიბებული მიზნები და ამოცანები შემდგომ თვითმმართველი ერთეულის „პრიორიტეტების დოკუმენტის“, ბიუჯეტის ფორმირების, საბიუჯეტო პროგრამებისა და ქვეპროგრამების საფუძველი ხდება. მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტთან ერთად, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ასევე ხელმძღვანელობენ პოლიტიკის სექტორული თუ თემატური დოკუმენტებით (სტრატეგიები, გეგმები და სხვა).

პოლიტიკის დოკუმენტებით განსაზღვრული შედეგები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამების განხორციელებით მიიღწევა. შესაბამისად კომისია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს და ხელს შეუწყობს პოლიტიკის დოკუმენტებით და საბიუჯეტო პროგრამებით განსაზღვრული შედეგების სინქრონიზებას, პოლიტიკის დოკუმენტების და ბიუჯეტის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ჩართვას, მონიტორინგს გაუწევს პოლიტიკის დოკუმენტების ინდიკატორებით განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლების მიღწევას.

კომისია უზრუნველყოფს დარგობრივი/სექტორული პოლიტიკის დოკუმენტების და მათი სამოქმედო გეგემების შესრულების მონიტორინგს და წარმოადგენს ინიციატივებს მათი გაუმჯობესების შესახებ.

სტრატეგიული ამოცანა 3 - საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციების გაძლიერება

წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ეფექტური საზედამხედველო მექანიზმების დანერგვით და განვითარებით, მუნიციპალიტეტში გაძლიერდება აღმასრულებელი ორგანოს და თანამდებობის პირების ანგარიშვალდებულება, აღმასრულებელი ორგანოს და თანამდებობის პირების საქმიანობა კანონმდებლობის შესაბამისად წარიმართება, გაიზრდება მოქალაქეთა ინფორმირებულობა აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის შესახებ და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვა სათანადოდ გაკონტროლდება.

ამისთვის, კომისია უზრუნველყოფს ყველა შესაძლო საზედამხედველო ფუნქციის გამოყენებას და პრაქტიკაში დანერგვას. კომისია გარდა ყოველწლიური რუტინული ანგარიშების მოსმენის გაუმჯობესებისა, ასევე ხელს შეუწყობს ახალი მექანიზმების გამოყენებას, რომლებიც დაემატა და განისაზღვრა საკრებულოს რეგლამენტში და კომისიის დებულებაში. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რომ საზედამხედველო ფუნქციების განხორციელებაში კომისიის ყველა წევრი ჩაერთვება და მათ შორის ფუნქციები მეტ-ნაკლებად თანაბრად გადანაწილდება.

სტრატეგიული ამოცანა 4 – კომისიის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება

საქართველოს მთავრობის 2020-2025 დეცენტრალიზაციის სტრატეგიის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებისთვის აუცილებელია გადაწყვეტილების მიღების ავტონომიურობა, მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისობა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობა და მათ საქმიანობაში მოქალაქეთა ფართო მონაწილეობა და საზოგადოებრივი კონტროლის, შეფასებისა და ანგარიშვალდებულების ქმედითი მექანიზმების დამკვიდრება.

შესაბამისად, კომისია ამ სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შექმნის მოქალაქეთა მონაწილეობის კანონით გათვალისწინებული ინსტრუმენტების პრაქტიკაში დანერგვის შესაბამის პირობებს, დანერგავს ქალების, ახალგაზრდების და შშმ პირებისთვის კომისიის საქმიანობის პროცესში დამატებითი მონაწილეობის ინსტრუმენტებს, მოქალაქეებს ჩართავს პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების პროცესში, დანერგავს საბიუჯეტო პროცესში მონაწილეობის კარგი პრაქტიკის მაგალითებს (მონაწილოებითი ბიუჯეტირება და სხვა), ხელს შეუწყობს მოქალაქეთა მონაწილოების ინოვაციური (მათ შორის ციფრული) მექანიზმების დანერგვას, შედეგად გააძლიერებს საკუთარი საქმიანობის გამჭვირვალობის და საზოგადოებასთან ანაგარიშვალდებულების ხარისხს.

სამოქმედო გეგმის განხორციელება

წინამდებარე სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა კომისიას ეკისრება, თითოეულ აქტივობაზე კი, განსაზღვრულია კონკრეტული დეპუტატი (თემატური მომხსენებელი). 2024 წლის მარტის მონაცემებით, კომისიის წევრები არიან:

1. ქეთევან ხომერიკი (თავმჯდომარე)
2. ქეთევან ვასაძე
3. ნინო ნადირაშვილი

4. ხათუნა ცერცვაძე
5. ვლადიმერ ხავთასი
6. მარიკა ჩხიკვიშვილი
7. მარინა ვაშალომიძე
8. ნინო ჭანიშვილი
9. ნუგზარ სარჯველაძე
10. ნანა ღაჟონია
11. სოფიკო ქარცივაძე
12. გიორგი სირაძე
13. ბესიკ მელუა
14. დავით მდინარაძე
15. ხათუნა თავდიშვილი
16. ირინა თუთბერიძე
17. ეროდი გორდელაძე

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები რაოდენობრივ ჭრილში შემდეგნაირად განაწილდება:



მონიტორინგი და ანგარიშგება

კომისია გეგმის დამტკიცებისთანავე დაიწყებს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს. კერძოდ, მონიტორინგის ეტაპზე გეგმაში წარმოდგენილ თითოეული აქტივობის ანალიზის შედეგად მიენიჭება სტატუსი, რომლის საფუძველზე გამოითვლება განხორციელების დონის მაჩვენებელი, როგორც მთლიანად გეგმასთან მიმართებით, ასევე სტრატეგიული ამოცანების ჭრილში. თითოეული აქტივობის განხორციელებასთან დაკავშირებით მინიჭებული იქნება შემდეგი სტატუსები:

• სრულად განხორციელდა – 100%
• მეტწილად განხორციელდა – 51-99%
• ნაწილობრივ განხორციელდა – 1-50%
• არ განხორციელდა – 0%

წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, მონიტორინგის შედეგად დაიწერება წლიური ანგარიში, რომლებიც განხილული იქნება კომისიაზე და წარედგინება საკრებულოს თავმჯდომარეს. წლიურ ანგარიშში დაფარული იქნება ერთი წლის განმავლობაში სრულად განხორციელებული აქტივობები სრულად. ანგარიში გამოქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე.

წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას შემდეგი საკითხების შესახებ:

- შესავალი - ზოგადი ინფორმაცია კომისიის შესახებ;ინფორმაცია დოკუმენტის, მისი მიზნის და მეთოდოლოგიური საკითხების შესახებ
- კომისიის მთავარი მიღწევები და გამოწვევები
- სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ზოგადი შედეგები
- მონიტორინგის შედეგები თითოეული ამოცანის და აქტივობის შესრულების შესახებ

სამოქმედო გეგმა

ამოცანა 1		სამართლებრივი ბაზის და მისი აღსრულების გაუმჯობესების ხელშეწყობა				SDGs	
						საბაზისო 2024	სამიზნე 2025
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.		ნორმატიული რეგულაციების გაუმჯობესების მიზნით მომზადებული რეკომენდაციების რაოდენობა				0	6
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.		ინიცირებული ნორმატიული აქტების ან/და ცვლილებების შესახებ კომისიის მომზადებული დასკვნების რაოდენობა				0	2
აქტივობა		**ინდიკატორი**	**დადასტურების წყარო**	**თემატური მომხსენებელი**	**პარტნიორი ორგანიზაცია/ კომისია**	**ვადა**	
1.1.	კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტულ და ახალგაზრდული ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების მარეგულირებელი მოქმედი ნორმატიული ბაზის შეფასება/საჭიროებების და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება	შეფასებულია სფეროში არსებული ნორმატიული აქტები, მომზადებულია კომისიის დასკვნა და შემუშავებულია არანაკლებ 3 რეკომენდაცია	შეფასების ანგარიში				
1.2.	ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის მარეგულირებელი მოქმედი ნორმატიული ბაზის შეფასება/საჭიროებების და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება	შეფასებულია სფეროში არსებულ ნორმატიული აქტები, მომზადებულია კომისიის დასკვნა და შემუშავებულია არანაკლებ 3 რეკომენდაცია	შეფასების ანგარიში				

1.3.	სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის მარეგულირებელი მოქმედი ნორმატიული ბაზის შეფასება/საჭიროებების და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება	შეფასებულია სფეროში არსებულ ნორმატიული აქტები, მომზადებულია კომისიის დასკვნა და შემუშავებულია არანაკლებ 3 რეკომენდაცია	შეფასების ანგარიში			

ამოცანა 2	დარგობრივი/ინსტიტუციური განვითარების პოლიტიკის და საბიუჯეტო პროგრამების გაუმჯობესების ხელშეწყობა	SDGs საბაზისო 2024	 სამიზნე 2025
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.	პოლიტიკის დოკუმენტების გაუმჯობესების მიზნით მომზადებული რეკომენდაციების ჯამური რაოდენობა	0	
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.	საბიუჯეტო პროგრამების გაუმჯობესების მიზნით მომზადებული რეკომენდაციების რაოდენობა	0	6

აქტივობა		**ინდიკატორი**	**დადასტურების წყარო**	**თემატური მომხსენებელი**	**პარტნიორი ორგანიზაცია/ კომისია**	**ვადა**
2.1.	მუნიციპალიტეტის განვითარების/ინსტიტუციური პოლიტიკის დოკუმენტების და მათი სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასება	შემუშავებულია მუნიციპალიტეტის განვითარების და მინიმუმ ერთი დარგობრივი განვითარების დოკუმენტის (არსებობის შემთხვევაში) და მათი სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიში	შეფასების ანგარიში			
2.2.	უსახლკარო პირების თავშესაფარით უზრუნველყოფის მიზნით არსებული მდგომარეობის შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება	ჩატარებულია მინიმუმ 1 შეფასების ანალიზი და შემუშავებულია დასკვნა/რეკომენდაცია/წინადადება	შეფასების ანგარიში			აპრილი, 2024

2.3.	მაწანწალა და უპატრონო ძაღლების მოვლა პატრონობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის განხილვა	ჩატარებულია მინიმუმ 1 განხილვა და შემუშავებულია დასკვნა/რეკომენდაცია/წინადადება	კომისიის სხდომის ოქმი		სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია	მაისი, 2024
2.4.	მზრუნველობამოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამის შესრულების ფაქტობრივი მდგომარეობის განხილვა (2023 წელი)	ჩატარებულია მინიმუმ 1 განხილვა და შემუშავებულია დასკვნა/რეკომენდაცია/წინადადება	კომისიის სხდომის ოქმი			მაისი, 2024
2.5.	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამის შესრულების შედეგების განხილვა	ჩატარებულია მინიმუმ 1 განხილვა და შემუშავებულია დასკვნა/რეკომენდაცია/წინადადება	კომისიის სხდომის ოქმი			ივნისი, 2024
2.6.	ახალგაზრდული პროგამების შესრულების მიმდინარეობის განხილვა	ჩატარებულია მინიმუმ 1 განხილვა და შემუშავებულია დასკვნა/რეკომენდაცია/წინადადება	კომისიის სხდომის ოქმი			ივნისი, 2024
2.7.	კულტურის განვითარების ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შედეგების განხილვა (2024 წლის ექვსი თვის მდგომარეობით)	ჩატარებულია მინიმუმ 1 განხილვა და შემუშავებულია დასკვნა/რეკომენდაცია/წინადადება	კომისიის სხდომის ოქმი			ივლისი, 2024
2.8.	"სპორტის განვითარების" ხელშეწყობის ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების ფაქტობრივი შედეგების	ჩატარებულია მინიმუმ 1 განხილვა და შემუშავებულია დასკვნა/რეკომენდაცია/წინადადება	კომისიის სხდომის ოქმი			ივლისი, 2024

	განხილვა (2024 წლის 30.06.2024 წლის მდგომარეობით)					
2.9.	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების შედეგების განხილვა (2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 01 ივლისამდე)	ჩატარებულია მინიმუმ 1 განხილვა და შემუშავებულია დასკვნა/რეკომენდაცია/წინადადება	კომისიის სხდომის ოქმი			ივლისი, 2024
2.10.	მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და დასაქმების ხელშემწყობი მუნიციპალური პროგრამების განხორციელების შედეგების განხილვა	ჩატარებულია მინიმუმ 1 განხილვა და შემუშავებულია დასკვნა/რეკომენდაცია/წინადადება	კომისიის სხდომის ოქმი			აგვისტო, 2024
2.11.	ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირების დახმარების პროგრამის შესრულების ანალიზი.(01.07.2024 მდგომარეობით)	ჩატარებულია მინიმუმ 1 შეფასების ანალიზი და შემუშავებულია დასკვნა/რეკომენდაცია/წინადადება	შეფასების ანგარიში			აგვისტო, 2024
2.12	სოციალური და სამედიცინო დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტების მდგომარეობის შესწავლა და განხილვა	ჩატარებულია მინიმუმ 1 შეფასების ანალიზი და შემუშავებულია დასკვნა/რეკომენდაცია/წინადადება	კომისიის სხდომის ოქმი		სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია	ოქტომბერი, 2024
2.13	კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების ანგარიშის განხილვა	ჩატარებულია მინიმუმ 1 განხილვა და შემუშავებულია დასკვნა/რეკომენდაცია/წინადადება	კომისიის სხდომის ოქმი			ოქტომბერი, 2024

2.14	მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების პროგრამის განხორციელების შედეგების განხილვა	ჩატარებულია მინიმუმ 1 განხილვა და შემუშავებულია დასკვნა/რეკომენდაცია/წინადადება	კომისიის სხდომის ოქმი			ნოემბერი, 2024
2.15	სოციალური მხარდაჭერის პროგრამების განხორცილების შედეგების განხილვა	ჩატარებულია მინიმუმ 1 განხილვა და შემუშავებულია დასკვნა/რეკომენდაცია/წინადადება	კომისიის სხდომის ოქმი			დეკემბერი, 2024

ამოცანა 3	საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციების გაძლიერება	SDGs	
		საბაზისო 2024	სამიზნე 2025
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.1.	გამოყენებული საზედამხედველო მექანიზმების ჯამური რაოდენობა და ჯერადობა		

	აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	თემატური მომხსენებელი	პარტნიორი ორგანიზაცია/ კომისია	ვადა
3.1.	კომისიის სხდომაზე თანამდებობის პირის მოწვევა (სავალდებულო დასწრება)	ჩატარებულია განხილვების N რაოდენობა რომელსაც ესწრებოდა ანაგრიშვალდებული თანამდებობის პირი (სავალდებულო დასწრება)	კომისიის სხდომის ოქმი			
3.2.	საკრებულოს სხდომაზე თანამდებობის პირის მოწვევის ინიცირება	დაინიცირებულია საკრებულოს სხდომაზე ანაგრიშვალდებული პირების მოწვევის შესახებ N *რაოდენობა* კომისიის ინიციატივა	საკრებულოს სხდომის ოქმი			
3.3.	საკრებულოსადმი ანგარიშვალდებულ ორგანოთა და თანამდებობის პირების საქმიანობის ანგარიშების მოსმენა (ყველა ანგარიშვალდებული პირის მიმართ ცალ ცალკე აქტივობა)	ჩატარებულია ანგარიშვალდებული თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ N *რაოდენობა* მოსმენა	ანგარიშვალდებული თანამდებობის პირის ანგარიში, კომისიის სხდომის ოქმი			

	თოჯინების და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიშის განხილვა					სექტემბერი, 2024
3.4.	თემატური მომხსენებლის მიერ X საკითხზე ანგარიშის მომზადება და კომისიის სხდომაზე განხილვა	შემუშავებულია 1 ანგარიში X საკითხზე დანიშნული თემატური მომხსენებლის მიერ	თემატური მომხსენებლის ანგარიში			
3.5.	X საკითხზე თემატური მოკვლევის ჩატარება	ჩატარებულია 1 თემატური მოკვლევა	თემატური მოკვლევის ანგარიში			

ამოცანა 4	კომისიის საქმიანობის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება	SDGs	
		საბაზისო 2024	სამიზნე 2025
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.			
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.2.			
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.3.	ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსში კომისიის სხდომებში არანაკლებ 30%-ით გაზრდილი მოქალაქეთა მონაწილეობის მაჩვენებელი		

	აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	თემატური მომხსენებელი	პარტნიორი ორგანიზაცია/ კომისია	ვადა
4.1.	კომისიის საქმიანობის შესახებ ახალი ამბების, ანონსების, დღის წესრიგის, კომისიის სხდომის ოქმების და საქმიანობის ანგარიშების გამოქვეყნება საკრებულოს ვებგვერდზე ან/და სოციალურ ქსელში	გამოქვეყნებულია არანაკლებ 15 ახალი ამბავი, ანონსი, ყველა სხდომის წინ კომისიის სხდომის დღის წესრიგი, ყველა კომისიის სხდომის შემდეგ კომისიის სხდომის ოქმი (სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში) და კომისიის საქმიანობის ანგარიში	მუნიციპალიტეტის ვებგვერდი, მუნიციპალიტეტის სოციალური ქსელი			

4.2.	კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადება დამტკიცებული ფორმის შესაბამისად	მომზადებულია წლიური ანგარიში	კომისიის წლიური ანგარიში			
4.3.	კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ წლიური ანაგრიშის გამოქვეყნება და საჯარო განხილვის ჩატარება	ჩატარებულია კომისიის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის მინიმუმ 1 საჯარო განხილვა	საჯარო შეხვედრის ოქმი			
4.4.	2025 წლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მომზადება	მომზადებულია/განახლებულია კომისიის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა	კომისიის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა			
4.5.	კომისიის საქმიანობის და საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციის შესახებ მოქალაქეებთან/დაინტერესებულ პირებთან ინფორმაციული შეხვედრების ჩატარება	ჩატარებულია მინიმუმ 3 შეხვედრა, თითო შეხვედრაზე მინიმუმ 10 დაინტერესებული პირის მონაწილეობით	საჯარო შეხვედრის ოქმი			
4.6.	კომისიის სხდომებზე მოქალაქეთა დასწრებისთვის განკუთვნილი სივრცის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა (მათ შორის ციფრული ინფრასტრუქტურის)	(ინდივიდუალურად ყველა კომისიის შემთხვევაში საჭიროებისამებრ გაიწერება აქტივობის ინდიკატორი)				